

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	ათას ლარებში	
					საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრები ჯამი
32 02 06	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	12,300.00	5,748.29	5,642.74	98%	0.00

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის და ასევე, კერძო სკოლების სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების მიწოდება. საანგარიშო პერიოდში შეძენილ და გადაცემულ იქნა 2 024 069 ცალი სახელმძღვანელო და რვეული. ამ მიზნით სულ მიიმართა 5.6 მლნ ლარი.

დასახული შუალედური შედეგები

- უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები

მიღწეული შუალედური შედეგები

- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლე, ასევე კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართული სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა**

**პროგრამის განმახორციელებელი** - სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო  
ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებულ მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
32 02 12 03	პროგრამა - აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართული სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	39.0	39.0	39.0	100.00	0.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- 2015 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული 10 ქართული სკოლისთვის შეძენილ იქნა 5 937 ცალი სახელმძღვანელო/რვეული და პროგრამით გათვალისწინებული სხვა თვალსაჩინოებები.

**საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)**

**პროგრამის განმახორციელებელი**

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრები ჯამი
-----------------	------------	--	---	-------------------------	--	------------------------

32 05	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	95,895.00	103,065.13	99,364.39	96%	0.00
32 05 01	საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	26,785.00	23,127.61	23,094.97	100%	0.00
32 05 02	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	69,110.00	79,937.52	76,269.42	95%	0.00
32 05 02 01	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	47,610.00	56,235.37	52,582.90	94%	0.00
32 05 02 02	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	14,000.00	12,941.06	12,994.02	100%	0.00
32 05 02 03	უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	6,500.00	10,745.08	10,692.49	100%	0.00
32 05 02 04	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება	1,000.00	16.00	0.00	0%	0.00

### დასახული შუალედური შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.

### მიღწეული შუალედური შედეგები

- სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კომპიუტერებით აღჭურვილი საჯარო სკოლები;
- პორტატული კომპიუტერით წახალისებული ნიჭიერი და წარჩინებული მოსწავლეები;
- საბავშვო - სასწავლო პორტატული კომპიუტერით უზრუნველყოფილი პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები;
- აშენებული და რეაბილიტირებული რიგი საჯარო სკოლები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები;
- ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)

### ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- შეძენილი იქნა 6 594 ერთეული კომპიუტერი, რომელიც გადაეცა 569 საჯარო სკოლას, საკლასო და სამედიცინო ოთახებისათვის;
- საანგარიშო პერიოდში პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ფარგლებში შეძენილი იქნა 44 077 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი პირველკლასელებისა და მათი მასწავლებლებისათვის, აგრეთვე, შეძენილია 1 972 ერთეული კომპიუტერი წარჩინებული მოსწავლეებისათვის.

### დასახული შუალედური შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო, მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია, უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკით.

### მიღწეული შუალედური შედეგები

- საჯარო სკოლებს მიეწოდათ პირველკლასელებისა და მათი მასწავლებლებისათვის გადასაცემად საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერები;
- მოხდა ნიჭიერ და წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერით წახალისება.

### მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბენეციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა პორტაბელური კომპიუტერებით („ნოუთ-ბუქებით“).

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 32 05 02)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 01)

### ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

## საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- დასრულდა ბუღალტერული და ზედა ვანის ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა და 507 საჯარო სკოლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა საქართველოს მასშტაბით 187 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობის სამუშაოები, ასევე, 190 საჯარო სკოლისთვის სამედიცინო ოთახის ინვენტარის შეძენა-გადაცემა;
- მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თბილისის N219, N217, N105, სოფელ ბაილეთის, სოფელ ჯუმათის სოფელ იანეთის კორპუსის, დაბა ურეკის წვერმაღალას კორპუსის, ქ.ოზურგეთის №2 და ოზურგეთის №3, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის, ხონის N3, ხონის N4, ჭალის კორპუსის, სოფელ სუფსის, სოფელ ჩიბათის, სოფელ კორმაღალის, სოფელ ტოლების, სამტრედიის N7, დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლების, სტიქიისგან დაზიანებული 8 საჯარო სკოლის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარისას დამწვარი საჯარო სკოლის რეაბილიტაციის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი, აგრეთვე სოფლების: არალის, შუა ამდლების, იორ მულანლოს, მარნეულის N1, თბილისის N3, არგვეთას, ზემო კაჭრეთის, ზოტის, ზღუდერის, თბილისის N14 და N158, თვალადის, თორტიზას, კაზრეთის N2, კასუმლოს, კვალითის, კასპის N1, ოსიაურის, ტყიბულის N7, ხოვლეს საჯარო სკოლების დემონტაჟის პროექტები;
- განხორციელდა თბილისის N200 საჯარო სკოლის სამხარეულოს მოწყობილობების ტექნოლოგიის კორექტირება და გადაეცა სკოლას სამხარეულოს ავეჯი;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით მიეცა დაფინანსება 179 საჯარო სკოლას;
- მომზადდა 18 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (სოფლების: ტამრისის, ატოცის, ასურეთის, წილკანის, ყელქცეულის და ბარალეთის საჯარო სკოლები, თბილისის N165, N151, N198, N70, N191, N64, N123, N60, N165 საჯარო სკოლები და ფოთის N12 საჯარო სკოლის, ხაშურის N8 საჯარო სკოლის პროექტები დასოფელ იორმულანლოს საჯარო სკოლის კონსტრუქციული პროექტი);
- შესწავლილ იქნა საჯარო სკოლების გათბობის სისტემებში არსებული ხარვეზები და მომზადდა დაახლოებით 50 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; სოფელ ქისტაურის საჯარო სკოლის ავარიული სასწავლო კორპუსისა და სპორტ-დარბაზის გამაგრების პროექტი; სოფელ ლაჯანას საჯარო სკოლის სპორტ-დარბაზის გამაგრებისა და რეკონსტრუქციის პროექტი; თბილისის N53 საჯარო სკოლის, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის, სურამის N1 საჯარო სკოლის კონსტრუქციული პროექტები, სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის (წინაფრის, კიბისა და პანდუსის) და შენობის ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტი, სოფელ ბუგეულის (წინაფრის, კიბის) სოფელ ლესიჭინეს (წინაფრის, კიბისა და პანდუსის) რეაბილიტაციის პროექტი;

- შესრულდა სააგენტოს 2015 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დაახლოებით 550 მდე საჯარო სკოლის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- მომზადდა 40 საჯარო სკოლაში სასკოლო მზაობის ჯგუფებისათვის საჭირო ოთახების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

### **დასახული შუალედური შედეგები**

- ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

### **მიღწეული შუალედური შედეგები**

- დასრულდა რიგი საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- დასრულდა რიგი საჯარო სკოლების გამაგრებითი სამუშაოები, გაზიფიცირება და გათბობის სისტემის დამონტაჟება;
- მოეწყო რიგ საჯარო სკოლებში სპორტული მოედნები;
- რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო და აღიჭურვა სამედიცინო ოთახები;
- შესწავლილი იქნა რიგი საჯარო სკოლების ავარიულობის საკითხი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) საჭიროებების გათვალისწინებით რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა შესაბამის ინფრასტრუქტურას, მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები და დამაგრდა პანდუსები;
- განხორციელდა რიგი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

### **მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ახლად აშენებული, რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 02)**

#### **ქვეპროგრამის განმახორციელებელი**

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

**საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- დასრულებულია 12 პროფესიულ კოლეჯში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები,
- მომზადდა პროფესიული კოლეჯების "თეთნულდი"-ს , "ოპიზარი"-ს, "მერმისი"-სა და მოდუსი"-ს სამშენებლო კომპანიის მიერ არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების გამო,

დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

- სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და აღჭურვის მიზნით მიეცა დაფინანსება 15 პროფესიულ კოლეჯს;
- მომზადდა საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მიწენების პროექტი, სოფელ კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ მეფუტკრის დამხმარე სახელოსნოს მშენებლობის პროექტი, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის (პროფესიული განათლების) ფილიალის შემოღობვის პროექტი და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ რეაბილიტაციის პროექტები;
- დასრულდა საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ღობის მოწყობის სამუშაოები, პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ დამხმარე შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ სპორტ-დარბაზის რეკონსტრუქციისა და გარე კეთილმოწყობის პროექტები, შესრულდა 5 პროფესიული კოლეჯის ლიფტის მოწყობისთვის აზომვითი სამუშაოები, მომზადდა ლიფტების მოწყობის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაცია. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისის“ ბაზაზე არსებული ტერიტორიული ერთეულის სოფელ ქვემო ალვანის შენობის ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტი, პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ ღობის პროექტი;
- მოხდა პროფესიულ კოლეჯებში მოდულური სწავლების დაგეგმვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პრობლემების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვნენ სხვადასხვა სახის ინვენტარით, კერძოდ:
  - 10 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 34 ერთეული პროექტორი;
  - 8 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 13 ერთეული ფოტოაპარატი;
  - 2 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 30 ცალი გრაფიკული დამუშავების პერსონალური კომპიუტერი, 2 ერთეული ვიდეო კამერა, 2 ცალი მაცივარი და სავენტილაციო დანადგარები.
  - 7 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 135 ერთეული უწყვეტი კვების ბლოკი;
  - 11 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა საოფისე ავეჯი და ფარდა-ჟალუზები;
  - პროფესიული კოლეჯებისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა სახანძრო მოწყობილობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 9 დაწესებულებისათვის შეძენილ და გადაცემულ იქნა 248 ცალი კომპიუტერი;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიურ ინსტიტუტისათვის შეძენილ და გადაცემულ იქნა საოფისე ავეჯი.

**დასახული შუალედური შედეგები**

- ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

### მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულდა რიგი პროფესიული კოლეჯების რეაბილიტაცია;
- განხორციელდა რიგი პროფესიული კოლეჯების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით.

### მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული, შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

**უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 03)**

#### ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

**საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით მომზადდა პროექტები და მიეცა დაფინანსება 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას;
- განხორციელდა სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, დასრულდა ცენტრის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები და ცენტრს გადაეცა ვიდეო-სამეთვალყურეო მოწყობილობები;
- მომზადდა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეაბილიტაციის პროექტი;
- მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, აგლამის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დამხმარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახურავის კონსტრუქციებისა და დაცვის ჯიხურის კონსტრუქციების პროექტი და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის ცენტრალური გათბობის პროექტი.

### დასახული შუალედური შედეგები

- რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები.

### **მიღწეული შუალედური შედეგები**

- დასრულდა რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- განხორციელდა რიგი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით აღჭურვა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით.

### **მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- რეაბილიტირებული, შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარითა აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.